**შეთანხმების აქტი N1**

ქ. რუსთავი 24 ივლისი 2018 წელი

ერთი მხრივ, სსიპ „პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრი“ (ს/კ 204493262) (შემდგომში „შემსყიდველი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის ავთანდილ მიქანაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (ს/კ 202886788), წარმოდგენილი - იურიდიული სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების განყოფილების უფროსის - ლერი არაშვილის სახით რომელიც მოქმედებს გენერალური დირექტორის 2018 წლის 27 აპრილის №80 ბრძანების საფუძველზე (შემდგომში - „მიმწოდებელი“), „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის N3129-რს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლისა და მხარეებს შორის 2018 წლის 11 ივლისს გაფორმებული N45/2018 ხელშეკრულების მე-7 პუნქტის 7.3 ქვეპუნქტის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ვინაიდან საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის უფლებამონაცვლედ განისაზღვრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრი, შევიდეს ცვლილება პარკირების ადგილებით სარგებლობის უფლების მოპოვების შესახებ 2018 წლის 11 ივლისს გაფორმებული N45/2018 ხელშეკრულების მე-8 პუნქტში, კერძოდ მხარეთა რეკვიზიტებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**8. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები**

| მიმწოდებელი: | შემსყიდველი: |
|---|---|
| შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“<br>იურიდიული სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების განყოფილების უფროსი<br><br>**ლერი არაშვილი**<br><br>საიდენტიფიკაციო ნომერი: 202886788<br>იურიდ. მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2<br>ტელ: (995 32) 2 35 77 77 (1190)<br>ელ. ფოსტა: info@metro.ge<br>სს თიბისი ბანკი<br>ა/ა GE33TB7931834070100002<br>ბანკის კოდი: TBCBGE22. | სსიპ „პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრი“<br>დირექტორი<br><br>**ავთანდილ მიქანაძე**<br><br>საიდენტიფიკაციო ნომერი: 204 493 262<br>მისამართი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, რუსთავის გზატკეცილი,მე-17 კილომეტრი<br>ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში<br>ბ/კ TRESGE22<br>ა/ა GE24NB 0330 1002 0016 5022 |

2. შეთანხმების აქტი ძალაში შედის მასზე ხელმოწერის დღიდან.

3. შეთანხმების აქტი წარმოადგენს მხარეთა შორის 2018 წლის 11 ივლისს გაფორმებული N45/2018 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს 2019 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით.

4. ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა დარჩეს უცვლელი.

5. შეთანხმების აქტი შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს“, ხოლო ორი ეგზემპლარი რჩება „შემსყიდველთან“.

მხარეთა რეკვიზიტები:

| მიმწოდებელი: | შემსყიდველი: |
|---|---|
| შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ იურიდიული სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების განყოფილების უფროსი<br><br>**ლერი არაშვილი**<br><br>საიდენტიფიკაციო ნომერი: 202886788 | სსიპ „პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრი“<br>დირექტორი<br><br>**ავთანდილ მიქანაძე**<br><br>საიდენტიფიკაციო ნომერი: 204 493 262 |

**მიმწოდებლის ხელმოწერა:**

**შემსყიდველის ხელმოწერა:**